# CapaSilan

სილიკონის ფისის ბაზაზე დამზადებული საღებავი შიდა სამუშაოებისათვის.
საუკეთესო გადაწყვეტილება გვერდითი მინათების მქონე კედლების და ჭერის შესაღებად.

## პროდუქტის აღწერა

**დანიშნულება**

CapaSilan-ი წარმოადგენს ინტერიერის საღებავების სრულიად ახალ თაობას, რომელიც საშუალებას იძლევა სრულად და თანაბრად დაიფაროს ზედაპირი არასაკმარისი განათების პირობებშიც კი, ისე, რომ გადაბმის ადგილები საერთოდ არ იყოს შესამჩნევი.

**თვისებები**

- ამცირებს ემისიას (გაფრქვევას), არ შეიცავს გამხსნელებს
- არ შეიცავს დაორთქლების ხელშემწყობ ნივთიერებებს
- მაღალი ორთქლდიფუზიურობა (გამტარიანობა)
- ცალკეული მონაკვეთების გადაბმის კვალის არარსებობა
- sd-მნიშვნელი: < 0,1 m
- ოპტიმალური გაშლა
- მარტივად წასასმელი
- წყალდისპერსიული

**მასალის შემკვრელი**

სილიკონის ფისის ემულსიისა და სპეციალური ხელოვნური ფისის დისპერიის კომბინაცია

**შეფუთვა**

- **სტანდარტული:** 5 ლ. 12,5 ლ
- **ColorExpress:** 12,5 ლ

**ფერი**

თეთრი

შეფერადება შესაძლებელია ხელით Amphibolin, Vollton და CaparolColor Voll-ton und Abtönfarben-ის კოლერებით. ასეთ შემთხვევებში, ფერთა სხვაობის თავიდან ასაცილებლად, მასალის საჭირო რაოდენობა სრულად უნდა იქნას შერეული ერთმანეთში .ერთი ტონალობის 100 ლიტრის და მეტი პროდუქტის შეძენისას შესაძლებელია დაკვეთით ქარხნული წესით შერევა. CapaSilan-ის შეფერადება შესაძლებელია აგრეთვე ColorExpress-ის სისტემის აპარატით არსებული ფერების შესაბამისად, ფერებზე, რომელთა სიღიავის ინდექსი არ აჭარბებს 70-ს. აპარატით შეფერადებისას, ფერზე დაყენებული პროდუქტი დატანამდე უნდა შეედაროს სასურველ ფერს, რათა გამორიცხულ იქნას ფერთა სხვაობა. ერთი ზედაპირის ღებვისას გამოიყენეთ იდენტური წარმოების სერიის მქონე პროდუქტი.

**სიპრიალის ხარისხი**

ღრმად მქრქალი (DIN EN 13 300-ის შესაბამისად).

**შენახვის პირობები**

შეინახეთ გრილ ადგილას, მოარიდეთ ყინვას.

**ტექნიკური პარამეტრები**

**მახასიათებლები დამოწმებულია საერთაშორისო სტანდარტის DIN EN 13 300_ის საფუძველზე:**

- სველი მოხეხვა: კლასი 1, მორეცხვისადმი მედეგი DIN 53778-ის მიხედვით
- კონტრასტი: დაფარვის კლასი 1 , მაჩვენებელი - 7 მ2/ლ და 140 მლ/მ2
- მაქსიმალური ნაწილაკების ზომა: < 100 µm
- სიმჭიდროვე: დაახლ. 1.45 გ/სმ3

CAPAROL

გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია N. 606 - ის მიხედვით.

| ინტერიერი 1 | ინტერიერი 2 | ინტერიერი 3 | ექსტერიერი 1 | ექსტერიერი 2 |
|---|---|---|---|---|
| + | + | – | – | – |
| (–) არ არის შესაფერისი / (◯) შეზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი | | | | |

## გამოყენება

**შესაფერისი ზედაპირები**

ზედაპირი უნდა იყოს მშრალი, სუფთა და თავისუფალი ადჰეზიური ნივთიერებებისაგან

**ზედაპირის მომზადება**

**PII და PIII-ის ჯგუფის ცემენტის ხსნარის ბათქაშები/კომპრესიული სიძლიერე DIN EN 998-1 შესაბამისად არანაკლებ B 1,5 N / mm2:**
მყარი, კარგად შემწოვი ბათქაშები შეღებეთ წინასწარი დამუშავების გარეშე. ფოროვანი, ცარცვადი შემწოვი ბათქაშები დაგრუნტეთ CapaSol RapidGrund-ით ან CapaSol Konzentrat-ით.

**PIV ჯგუფის ცემენტის ხსნარების თაბაშირი და მზა ბათქაშები/კომპრესიული ძალა DIN EN 13279 შესაბამისად არა ნაკლებ 2 N / mm²:**
დაგრუნტეთ Haftgrund EG-თი. თაბაშირის ბათქაშები არასწორი ზედაპირით დააზუმფარეთ, გაწმინდეთ მტვრისგან და დაგრუნტეთ Dupa-Putzfestiger-ით.

**სამშენებლო თაბაშირის ფილები:**
თაბაშირბოჭკოვანი ფილები დაგრუნტეთ CapaSol RapidGrund -ით ან CapaSol Konzentrat-ით. გლუვი, მკვრივი ზედაპირის ფილები დაგრუნტეთ HaftGrund EG -თი.

**თაბაშირ-მუყაოს ფილები:**
დააზუმფარეთ ფითხის ნარჩენები. რბილი და დაზუმფარებული ადგილები გაამყარეთ Dupa-Putzfestiger-ით. დაგრუნტეთ HaftGrund EG-თი, CapaSol RapidGrund-ით ან CapaSol Konzentrat-ით. ფილები წყალში ხსნადი პიგმენტური ლაქებით დაგრუნტეთ AquaSperrgrund-ით. გაითვალისწინეთ BFS - მონაცემთა ფურცელი N.12

**ბეტონი:**
მოაცილეთ ცარცვადი, ფხვნადი ნივთიერებები.

**ფოროვანი ბეტონი:**
დაგრუნტეთ Capaplex 1:3 წილ წყალთან

**კირი და აგური/კრამიტი:**
შეღებეთ წინასწარი მომზადების გარეშე

**მყარი მზიდუნარიანი დანაფარები:**
მქრქალი, სუსტად შემწოვი ზედაპირები შეღებეთ დაუმუშავებლად. პრიალა,ლაქით და ემალით დაფარული ზედაპირები დააზუმფარეთ და დაამუშავეთ HaftGrund EG-თი.

**არამზიდუნარიანი დანაფარები:**
ხელოვნური ფისის თაბაშირები, ლაქისა და დისპერსიული საღებავების დანაფარები მოაშორეთ სრულად. სუსტად შემწოვი, გლუვი ზედაპირები დაგრუნტეთ Haftgrund EG-თი. მსხვილ ფოროვანი, ცარცვადი, შემწოვი ზედაპირები დაგრუნტეთ CapaSol RapidGrund-ით. მინერალური საღებავების არამზიდი დანაფარები მექანიკურად მოაცილეთ და გაწმინდეთ მტვრისგან. დაგრუნტეთ Dupa-Putzfestiger-ით.

**დანაფარები წებოვანი საღებავით:**
საფუძვლიანად ჩამორეცხეთ. დაგრუნტეთ Dupa-Putzfestiger-ით.

**რელიეფური, ბოჭკოვანი ან ტვიფრული ქაღალდის შეუღებავი შპალერი:**
შეღებეთ წინასწარი მომზადების გარეშე.

**არამზიდუნარიანი შპალერი:**
მთლიანად მოაშორეთ, მორეცხეთ და გაასუფთავეთ ნარჩენებისგან. დაგრუნტეთ DupaPutzfestiger-ით.

**ხავს-მოდებული და სოკოთი დაზიანებული ზედაპირები:**
ობით და სოკოთი დაზიანებული ადგილები გაწმინდეთ წყლით. ჩამორეცხეთ Capatox-ით ან FungiGrund-ით და კარგად გააშრეთ. დაგრუნტეთ ზედაპირის სახეობის და თვისებების შესაბამისად. განსაკუთრებით დაზიანებულ ზედაპირებზე დამასრულებელ ფენად წაუსვით Indeko-W, Malerit-W ან Fungitex-W.

**ზედაპირები ნიკოტინის, წყლის, ქვარტლის და ცხიმიანი ლაქებით:**
ნიკოტინით, ქვარტლით და ცხიმით დაბინძურებული ზედაპირები ჩამორეცხეთ ცხიმის მოსაშორებელი საშუალებით (მაგალითად ჭურჭლის სარეცხი საშუალება), შემდგომ კარგად გააშრეთ. გამშრალ ზედაპირზე შემორჩენილი წყლის ლაქები გახეხეთ და გაწმინდეთ. პირველი ფენა წაუსვით Caparol AquaSperrgrund. ძლიერ დაბინძურებულ ზედაპირებზე. დამასრულებელ ფენად გამოიყენეთ Caparol Aqua-inn №1.

**ხის ზედაპირები:**
წაუსვით წყალდისპერსიული, ეკოლოგიურად უსაფრთხო Capacryl Acryl-ის ლაქები ან Capacryl PU-ის ლაქები.

**მცირე დეფექტები:**
გამოასწორეთ Caparol-Akkordspachtel-ით და შემდგომ დაგრუნტეთ

**დატანის მეთოდები**

შესაძლებელია დატანილ იქნას: ფუნჯით, სამღებრო გორგოლაჭით და საჰაერო ან უჰაერო (Airless) მიფრქვევით.

**უჰაერო მიფრქვევა (Airless):**

| | |
|---|---|
| გაზავება | მაქს. 5% წყალი |
| გამფრქვევი | |
| წნევა მიფრქვევისას | 150 - 180 bar |
| მიფრქვევის კუთხე | 40° - 50° |
| ნახვრეტის სისქე ( Inch) | 0,019" - 0,021" |
| ფილტრი ( MW) | დაახლ. 0,31მმ |

**სამუშაოს დასრულებისას ხელსაწყოები გაწმინდეთ წყლით.**

**დაფარვის სტრუქტურა**

**ძირითადი და შუალედური ფენა:**
CapaSilan გააზავეთ არა უმეტეს 10% წყლით, დიდ ფართობებზე მაქსიმუმ 20% წყლით.

**დამასრულებელი ფენა:**
CapaSilan გააზავეთ არა უმეტეს 5% წყლით.

**რჩევები:**
მუშაობის დაწყებამდე, მასალა კარგად ამოურიეთ. საუკეთესო შედეგის მისაღებად, გამოიყენეთ საშუალო ბეწვიანი სამღებრო გორგოლაჭი (სიმაღლე 14-18მმ.) მაგალითად: „Rotaplast"-ის წარმოების, სამღებრო გორგოლაჭი: Raotanyl 18. წაუსვით CapaSilan-ი თანაბრად და გაშალეთ ერთი მიმართულებით.

**ხარჯი**

ერთ ფენაზე დაახლოებით 140 მლ/მ2 გლუვი ზედაპირებისათვის. უხეშ ზედაპირზე ხარჯი შესაბამისად იზრდება.ზუსტი ხარჯი განისაზღვრება საცდელი დატანის გზით.

**გამოყენების პირობები**

**მინიმალური ტემპერატურა გამოყენებისა და შრობის პროცესში:**
ჰაერისა და ზედაპირის მინიმალური ტემპერატურა უნდა იყოს +5 C.

**შრობის დრო**

20 C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი შემდგომი სამუშაოებისათვის მზადაა 4-6 საათში. შრება და მზადაა დატვირთვების ასატანად 3 დღეში. უფრო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება.

**მითითება**

გადაბმის ადგილების ზოლოვან ლაქებად გამოჩენის თავიდან ასაცილებლად პროდუქტი დატანილ უნდა იქნას ერთი მოსმით - " სველი-სველზე" მეთოდით. არ დაიტანოთ წყლით დატვირთვის მქონე ჰორიზონტალურ ზედაპირებზე.
(Airless) მიფრქვევით დატანის დროს საღებავი ამოურიეთ საფუძვლიანად და გაატარეთ საცერში. შიდა სამუშაოების დროს Caparol-Tiefgrund TB-ის გამოყენებისას შესაძლებელია წარმოიქმნას გამხსნელის სუნი, ამიტომ იზრუნეთ მუდმივ განიავებაზე. შენობებში, სადაც განიავება ვერ ხერხდება, გამოიყენეთ ნაკლები სუნის მქონე პროდუქტები. ფაქტურის უთანაბრობის რისკის მინიმიზაციისათვის სასურველია ახალდადებული საღებავი საფუძვლიანად გაასწოროთ გორგოლაჭით ( მაგალითად - Rotanyl 18 jn Rotaplast).

## შენიშვნები

**უსაფრთხოების ნორმები**

მოარიდეთ ბავშვებს!
მუშაობის პროცესსში იზრუნეთ მუდმივ განიავებაზე. არ ჭამოთ, არ დალიოთ და არ მოწიოთ ამ პროდუქტით მუშაობისას. კანზე ან თვალებში მოხვედრის შემთხვევაში კარგად დაიბანეთ წყლით. ნუ დაუშვებთ პროდუქტის წყალ-სადენებში და ნიადაგში მოხვედრას. ექიმის კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, თან იქონიეთ პროდუქტის ქილა ან ეტიკეტი. **საფრთხე:** მიფრქვევისას შესაძლოა წარმოიქმნას სასუნთქი გზებისთვის საშიში აირები. არ შეისუნთქოთ საღებავის დატანის დროს წარმოქმნილი "ღრუბელი".
შეიცავს: 1,2-ბენზიზოთიაზოლ-3(2H)-ონს, სარეაქციო მასას 5-ქლორო-2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონის და 2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონის (3:1). შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები.

**უტილიზაცია**

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებლია უტილიზირებულ იქნას როგორც წყალდისპერისული საღებავის დანაკარგი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც გამხმარი საღებავი ან სამშენებლო ნაგავი.

**VOC**
(აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)

პროდუქტის კატეგორია (A/a): 30 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ < 1 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

| | |
|---|---|
| Giscode | BSW20 |
| შემადგენლობა | პოლივინილაცეტატის ფისი/პოლისილოქსანი, ტიტანის დიოქსიდი, სილიკატები, წყლის დანამატები, კონსერვანტები (მეთილისოთიაზოლინონი, ბენზიზოთიაზოლინონი) |
| ტექნიკური კონსულტაცია | მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. |

**შპს კაპაროლ ჯორჯია**
ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge